ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №10

ქ. ახმეტა 28 ოქტომბერი, 2020 წელი

თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბიუროს სხდომას ესწრებოდა: რ.ბაღაკაშვილი, ბ.ჭიჭიკლიშვილი, ლ.ითიურიძე ა.შათირიშვილი, ა.ბუღრიძე, დ.იმერლიშვილი გ.ხადიშვილი, ნ.ალავიძე, თ.ბოდაველი,

სხდომა გაიხსნა 11^{00} საათზე.

სხდომის თავმჯდომარე თ.ყეინიშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

   /მომხსენებელი - თ.შათირიშვილი/

2. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის უფლებით განკარგვისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.**

   /მომხსენებელი - თ.კუდიანაშვილი/

3. **ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ.**

/მომხსენებელი - თ.კუდიანაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> **„ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;**

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს დამსწრე წევრებს: ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემების დამუშავება მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს სახელწოდებით „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“.
პროექტის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარება, თვითმმართველ ერთეულებში მმართველობის გაუმჯობესების, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების მიწოდებისა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, პროექტის ფარგლებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის მხარდასაჭერად დაინერგა პროგრამული უზრუნველყოფა „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა“ (მმს). სისტემის ძირითად დანიშნულებაა მოქალაქეთა მოთხოვნების ელექტრონულად აღრიცხვა, გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით პროცესების ავტომატიზაცია. მმს-ის მეშვეობით, ყველაზე აქტუალური მუნიციპალური სერვისების ავტომატურ რეჟიმში წარმოება მიმდინარეობს. აღნიშნული მუნიციპალური სერვისები ერთიანდება შემდეგ ჯგუფებში:

ა) ფიზიკური პირისთვის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭება, შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა და სტატუსის შესახებ ცნობის გაცემა;

ბ) მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური პროგრამები;

გ) სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების, მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული მუნიციპალური სერვისები;

My.gov.ge-ზე რეგისტრირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ დაარეგისტრირონ განცხადება დისტანციურად, ზემოთ ჩამოთვლილ სერვისებზე მმს-ში ჩართულ ნებისმიერ მუნიციპალიტეტში. აღნიშნული განცხადება ავტომატურად იგზავნება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებში, რომლებიც მმს-ის საშუალებით მართავენ საქმისწარმოების პროცესებს (განმარტებითი ბარათი თან ერთვის ოქმს).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის უფლებით განკარგვისას ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს დამსწრე წევრებს საკითხი: შემოსულია კერძო ინიციატივა ,,ჰაიდელბერგცემენტის,, კომპანიისგან. განკარგულების პროექტის თანახმად: დამტკიცდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ელექტრონული აუქციონის წესით, აღნაგობის უფლებით განკარგვისას: ს/კ 50.12.37.020 წლიური ქირის საწყისი საფასური -2120 ,0 (ორიათას ას ოცი) ლარის ოდენობით. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 5 (ხუთი) წელი.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 06 მარტის N8 განკარგულება - „ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფ. ალავერდში მდებარე 3029.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი განკარგვის წესით, აღნაგობის უფლებით შპს "ასიანისათვის" გადაცემის შესახებ.

ლ.ითიურიძემ დასვა კითხვა: ხომ არ გეგმავს კომპანია აღნიშნულ ფართში ცემენტის ქარხნის მშენებლობას, რაზეც მომხსენებელმა უპასუხა, რომ აქ მხოლოდ ნედლეულის ამოღება მოხდება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

<u>მოისმინეს:</u> ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული უძრავი ქონების, ქალაქ ახმეტაში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის საპრივატიზებო ნუსხისა და ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზების საწყისი საპრივატიზებო საფასურის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: დამტკიცდეს საპრივატიზებო ნუსხაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული ქალაქ ახმეტაში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი. (ს/კ 50.04.35.011)

დამტკიცდეს- ქალაქ ახმეტაში ყაზბეგის ქუჩაზე მდებარე 200კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართის

ა) საწყისი საპრივატიზებო საფასური-2800.0 (ორიათასრვაასი) ლარის ოდენობით.

- „ბე"-ს (უპირობო, გამოუხმობადი საბანკო გარანტიის) თანხა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 30% ით - 840.0 (რვაასორმოცი) ლარის ოდენობით.
- აუქციონის ბიჯის ოდენობა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო საფასურის 10% ით -280.0 (ორასოთხმოცი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხვა კითხვები და წინადადებები არ ყოფილა.

ბიუროს სხდომა დაიხურა 12[05] საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: **თამარ ყეინიშვილი**